



# ქველთს

## რედაქცია

## კანტორა

მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხოვნები.  
რედაქცია ღიაა: დღის 9-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.  
მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 60 მ.  
კანტორა ღიაა: დღის 8-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.  
ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

## განცხადება.

ქათისის სამაზრო ერობის გაძვეება  
ბაღებს, რომ წაბლარის ხეებს ხე-წყის ქარხანა უკვე შეუდგა მუშაობას და პირველ რიგში

## ბაღებს სასკოლო „პარტებს“

სახლს სკოლებს, რომელთაც სურთ შეიძინონ პარტები მეიტანონ ფული ერობის საღაროში, ვინაიდან დაკვეთის შესრულება მოხდება რიგრიგობით  
პარტები დაკვეთა მიიღებს დაშლილს ყოველივე მასალით.  
გამგებობს წვერი ფალაგანდიშვილი. 3-3

სამოსწავლელთა სრულფასიანი  
კურსები დეკ. მ. კელენჯერიძისა  
ქუთაისში მთავრობის ნებართვით. ამზადებს და წოდებს აძლევს I და II კლ. სახალხო მასწავლებლებს. 3-1

მოკალ მასწავლელთა საშუალოდღობით!  
და და იყიდება ქუთაისის და ხონის ყველა წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნაკი:

„ღვარკლი ხორბალში“  
წვე ელემენტები ქუთაისის სახალხო სკოლების მასწავლებელთა ლში“, შედგენილი მასწავლებელ გორგი წიფვიძის მიერ. წიგნი მიუდგომლიათ ნიღაბ ახალია მთელი რივი ქუთათურ მასწავლებელთა თვინათ ხელობათ გაუხდათ ლობობა, მექრთა-მეოპა, სიხარბაცე, ლალატი სამსახურში და სხვა.  
წიგნაკი ღირს ათი მანათი. 1-1

## შინაული გრალდება.

„საქართველომ“ მთავრობის მიღვე საშინელი ბრალდება წა-ბა: „ხმები, მთავრობა ლორის ბას აპირობსო (იხ. 9 ოქტ. თიველო“).  
წველია: უსაფუძვლოდ ამგვარ ვერ დასდებდა.  
ბოთალია, ბრალდება მხოლოდ გამოთქმული მაგრამ ამგვარ ეტი უკვე ბრალდება.  
ბრი დღეს სომხების ხელშია. მიზები კი ის არის, რომ ჩვენმა ბობამ რეგულიარული ჯარი შე არ შექმნა და საქართველოს რები არ დაიჭირა.  
კიდევ: ლორის აქეთა ნაწი-ვერეთწოდებულ ნეიტრალურ შია, იმისდა მიუხედავად, რომ სკოლა ველზე გამარჯვება ჩვენ სკოლა.  
საჯერ თქმულა, რომ ვის ხელ-

მცირე აზრის დიდ სომხეთზე თავის ისტორიულ უფლებას დადადებენ და გაიძახიან: სადაც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ, იქ სომხეთიაო; ევ-როპამ მკვდრების ხმაც უნდა ყუ-რადილოსო.

იპავე დროს იგივე სომხები უარ-ყოფენ საქართველოს ისტორიულ უფლებას.

რას მივაწეროთ ამგვარა წინააღმ-დეგობა?! იმას რამ ამ ხანად გაუ-დისთ! რატომაც არ იტყვიან, თუ კი დაუჯერებენ!

დიად, ლორის დათობა — საქარ-თველოს კარის გაღება და ეკონო-მიური დაკვირება იქნება.

მერე კიდევ: რამ უნდა გვაიძუ-ლოს ასეთი დათობისათვის?!

საქართველომ ხალი ქარქაში უნ და ჩააგოსო, გეკუბნებიან, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც სხვებიც ასე მოიქცევიან.

მართალია, მშვიდობის მოყვარეო-ბა კარგი საქმეა, მაგრამ განა მარ-ტო საქართველოსთვის არის სავალ-დებულო?!

მერე კიდევ ლორის დათობათ სომხების აგრესიული პოლიტიკა არ შეჩერდება შემდეგ ახალ-ქალაქს მოგვთხოვენ, დასასრულ კი — თფი-ლისსაც!

რამდენადაც მეტს დაფუძობით, იმდენად მეტს დაიჩემებენ!

დასასრულ ყოველად შეუძლებელია სავარეო პოლიტიკის ასე ფარულად, მალულად წარმოება! ეს — დემოკ-რატიზმის უარყოფაა, ძველი დიპლო-მატიის აღდგენა!

ერმა თავისი სასიკოცხლო ინტე-რესების ამბავი უნდა იცოდეს, რომ თავისი გადამჭერი სიტყვა სთქვას!

და ეს სიტყვა სავალდებულო უნ-და იყოს მთავრობისათვის.

აი სად არის საქრო რეფერენ-დუმი.

მაგრამ სად გაქრა მინისტრთა თავჯდომარის სიტყვა პირდაპირის, სახალხო კანონმდებლობისა და პარ-ლამენტარისმის უარყოფის შესა-ხებ?!

იქნება პარტიული კომიტეტის დადგენილებანი — სახალხო კანონ-მდებლობად მიჩნიათ?!

მაგრამ არა! უფრო ეს არის მარ-ტალი: მართველი პარტიის სიტყვა-სა და საქმეს შორის დიდი განსხვა-ვებაა: სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უძვეს დიდი ზღვარი.

## ნესტარი.

### ჩვენი ღრვის ჯალ-თუბი.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის უკანასკნელმა შეკითხვა, მოქალაქე ნ. ჩარკვიანის უკანონოდ დაპატიმ-რების შესახებ, რომელმაც დაამტკი-ცა მართველი პარტიის უბადრუტობა, პერიფერიებში ვერ იმოქმედა სოკ-დემოკრატების კოლექტივებზე.

როდესაც ჩვენ კოლექტივებს ვამ-ბობთ, სახეში გვაქვს ადგილობრივი თვითმართველობანი, სადაც შემთ-ხვევით გაბატონებული არიან მარტ-ველი პარტიის პატარა კაცები.

მაგრამ ეს პატარა კაცები, ისეთ უფლებებს ითვნიებენ, რომ თავიანთი თვითნებობით „დიდ ბატონებსაც“ აქარბებენ.

ალარ არის სამართალი, უარყოფენ კანონს და აკეაებენ იმას, რაც მათის თვალსაზრისით დღემდის გაბატონებულ პარტიას სატგებლობას მოუტანს.

დღეს, ჩვენს გაზეთში იბეჭდება ორი წერილი: — „წერილი რედაქციის მიმართ“, ერთი დ. ცაგერიდან და მეორე სოფ. ფარცხანაყანევიდან.

ორივე წერილი უმკველია მკით-ხველ საზოგადოებაში აღშფოთებას გამოიწვევს, მაგრამ ასეთ გულის წყრომას და საყვედურს საზოგადოე-ბისას, შეეჩვიენ ისინი, ვისხედაც ჩვენ წერა გვიხდება.

ცაგერში, როგორც იქიდან გვა-ტყობინებენ ენკენისთვის ბოლო რიცხვებში ადგილობრივი ერობის გამგეობის თავჯდომარის მოადგი-ლის განკარგულებით დააბტამრეს ერთი ყმაწვილი ალ. დევდარიანი.

რისთვის დააბატამრეს? იკითხავს მკითხველი.

როგორც მოწერილი ცნობიდან სჩანს ხსენებული დევდარიანი ჯღია ბაღში და გაზ. „ჩვენ ქვეყანაში“ მოთავსებულ ცნობას „სამიწად მომ-

# დღიური

გერმანიის ნაციონალურ საკუთრებაში მინისტრმა ბაუერმა განაცხადა, რომ გერმანიის აღმოსავლეთის საზღვარზე ჰყავს 200,000 ჯარისკაცი, ამდენივე ჰყავს შიდა ნაწილებში. ჯარის შემცირება დაიწყება გერმანიის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

კოლჩაკმა მოკავშირეების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ის მთავარ მართველობაზე დენიკინის სასარგებლოდ უარს აცხადებს.

ბოლშევიკებმა ქ. ილიცკი აიღეს

გერმანიის რესპუბლიკის პირველი რეისხტაგის არჩევნები გაზაფხულზე აღრე არ მოხდება.

ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება მუშების მოთხოვნილებაზე, ქვანახშირის მალარტების ნაციონალიზაციის შესახებ.

ქმედო სამინისტროს მიერ დაწესებულ ნიხრს ტყეების შესახებ კითხულობდა.

სხვა არაფერი დაუშვებია, გაზეთის წაკითხვისათვის დაბატონრეს და რამდენიმე დღეს ციხეში ჩასვეს.

სოფ. ფარცხანაყანევი კიდევ უფრო აღმაშფოთებელი მაგალითი მოხდა ადგილობრივ საავადმყოფოში დარაჯის ადგილზე მსახურებდა ვ. კიკვაძე რწმენით ეროვნულ-დემოკრატი.

მას საერობო წვრილი ერთეულის გამგეობამ წინადადება მისცა ან გადასულიყო სოც-დემოკრატიულ პარტიაში და ან სამსახურისათვის თავი დაენებებია, როდესაც გამგეობამ კიკვაძისაგან უარი მიიღო, თვითონ დაითხოვა იგი.

როგორც ვადმოგვცეს გამგეობას ასეთივე წინადადებით მიუმართავს ადგილობრივი პროვიზორისა და ერთი მასწავლებლისათვის.

რას ნიშნავს ეს მაგალითები!..

ნუ თუ საზოგადოებამ ისინი მისთვის აირჩია, რომ აწარმოონ ის ხალხი, რომელნიც მათ რწმენას არ იზიარებენ?!

რომელ მივარდნილ კუნძულზე ხდება ასეთი მოვლენა?!

არსად.

მაგრამ საქართველოს ისტორიას კი ახსოვს ასეთი მაგალითები.

როდესაც ჩვენში ოსმალების ან სპარსელების ურდოები შემოიჭრებოდნენ, როდესაც ყველაფერს ააწიოკებდნენ, რასაც ქრისტიანული დალიანდა და თვითონ გაბატონდებოდნენ, დაიწყებდნენ მართლმადიდებელთა წამებას.

და ვინც მათ სარწმუნოებას არ მიიღებდა განაჩენის ასასრულებლად წითელ ხალათიან ჯალათებს გადასცემდნენ ხოლმე.

ოსმალთა და სპარსელების საშუალო საუკუნის ჩვეულებების წყალობით შეუსწავლიათ სოც-დემოკრატების აგენტებს პროვინციებში. მაგრამ ისინი გარეშე მტრებს, უცხოელებს კი არ აწამებენ, არამედ ერ. დემოკრატებს და იმისთვის რომ არ იზიარებენ სოც-დემოკრატიულ მიმართულებას.

არ ვიცი, რას გვეტყვიან ამაზე ჩვენი დროის ჯალათები, რით იმართლებენ თავს, მაგრამ ვისთან, რისთვის უნდა იმართლონ თავი, როდესაც მათი მოქმედების ასეთი ნაბიჯები უფრო მალაღობა წრეებიდან არის ნაკარნახევი!..

საბრალო საქართველოვ! რა ხარ შენ დღეს, როდესაც ასე დაკნინდენ შენი შეილები!..

რას წარმოადგენ, შენ დღეს როდესაც შენი შეილები ჯალათებთ გარდიქნენ, რომელთა მახვილები საკუთარი ძმების წინააღმდეგ არის მიმართული!..

ნელი

## პრესა.

გაზეთი „საქართველო“ სწერს რესპუბლიკის პირველ სენატის შესახებ, ეხება ჩვენ სასამართლოს და ამბობს:—

„სასამართლო უდიდესი ბოძია, სახელმწიფოსი. ეს სასამართლო, როგორც შოლიანი, მტკიცე ძალა, დღემდე დაუქმებული იყო. რევოლუციონერ გრიკალმა არ შეინდო ის და მოსუსტა მისი ძლევა მოსილი სიტყვა“

„გვაქვს სასამართლოები—ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივი, სოფლად და ქალაქად, დაბალი და მაღალი, გვყავს მოსამართლენი მიუდგომელნი და საიმედონი, მაგრამ არ გვაქვს სასამართლო სასამართლოს გარეშე მდგომი ძალა ოფიციალური თუ არა ოფიციალური რეგანიზაციები მძიმე ლოდით აწევს ჩვენს სამართალს და უსპობს მას საჭირო თავისუფლებას და დამოუკიდებულობას.“

„ამასთანავე სასამართლო თვითონვე მოკლებული იყო იმ ძალას, რომელიც მას შინაგან სიმტკიცით და ძლიერებით ჰმოსავს. ის მოკლებული იყო უმაღლეს ავტორიტეტულ ორგანოს, უმაღლეს სამჯავროს, რომელიც სახელმწიფოში იქნებოდა სამართლის დარაჯი და სამართლის წარმომადგენელი.“

„რესპუბლიკის სენატი უკვე არსებობს ნუ შეგვაშინებს ის გარემოება რომ უმაღლეს სასამართლოს მცირეოდენი წითელი ფერით უპირებენ შეფერებას. სამართლის ტაძარს ეს ფერი არ მიადგება და შიგ შესულნი თვითონვე იძულებულნი იქნებიან გაიშკვარონ სამართლის ბუნებით და სულისკვეთებით. სასამართლოს ტრადიციები მალე მოიდგამს ფეხს ჩვენს სენატში, ის მალე აღმართავს სასამართლის დროშას ჩვენს რესპუბლიკაში. ტყუილად ჰფიქრობენ

ზოგიერთნი, რომ სენატის შექმნა არსებითად არ შეცვლის სამართლის მდგომარეობას საქართველოში და ის ისევ სხვა უწყებათაზედ გავლენისა და უხეში ექსპერამენტის ობიექტი დარჩება.“

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ სენატი დაიჭრის იმ სიმაღლეს, რომელიც მას რევოლუციური იქვს, როგორც სამართლის უმაღლეს დაწესებულებას.“

„სენატის შექმნით ჩვენი სასამართლო უკვე გვირგვინ დაღმუღლია და ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ დღეიდან საქართველოში უფლებრივი ნორმების ძალა უფლებადღეინილი იქნება.“

„შეიძლება ითქვას, რომ არცერთ სხვა დარგში არ არსებობს ისეთი არც დარგვა; როგორც უფლებრივ სფეროში. მოქალაქეთა პიროვნული უფლებები სრულიად არ არის დაცული. ადმინისტრაციის მოუწყობლობა, სხვა კერძო ორგანიზაციების თვითნებური მოღვაწეობა, და უფლებების საერთოდ არად მიჩნევა და აბუჩად აგდება—ასეთია ის მძიმე პირობები, რომელშიაც მოუხდება საქართველოს სენატს თავის მოღვაწეობის დაწყება. მაგრამ მას ხელში უპყრია ძლიერი სამართლის კვერთხი და ის შესძლებს ყველა სიძნელის კეთილად გარდალახვას.“

## ნოტაჟი. უორდროუს.

(საქ. დღ. სააგენტო)

ოქტომბრის 8 ს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. გეგეჭკორმა შემდეგი ნოტა გაუგზავნა ამიერ-კავკასიის უმაღლეს კომისარს ო. უორდროუს:—

„მის აღსატებულებას ბრიტანიის უმაღლეს კომისარს ამიერ კავკასიაში ოლ. უორდროუს. თქვენო აღმატებულებავ! კვირას, ოქტომბრის 5 ს, ნაშუაღღევის დაახლოვებით 3 საათზე, ბათუმის საღურზე ტვირთების გამსინჯველმა უფროსმა კონტროლიორმა კაპიტანმა რაევმა რევოლუციით დასჭრა სამსახურის საქმეების გამო ჩემი დავალებით ბათუმში გაგზავნილი აღექსანდრე მასხარაშვილი.“

საბაბი შეიქნა მათ შორის მოხდა რი ლაპარაკი, რომელიც გამოიწვია მასხარაშვილის სამართლიანმა პროტესტმა იმის გამო, რომ რაევმა, წინააღმდეგ ყოველივე კანონისა გასწიხრიკა უცხოეთის დიპლომატიური აგენტები. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბათუმის საღურზე იმ მატარებლის დასაცავად, რომელშიაც იმყოფებოდა იტალიაში მიმავალი ჩვენი დღეე გაცია, ჩაყენებული იქნა ინგლისელთა ყარაული. რამდენიმეხნის წინად რაევმა მოინდომა საქართველოს ჯარის ოფიცრის მიქელაძის დაბატიმრება, რომელიც ბათუმში სამსახურის საქმის გამო იყო გაგზავნილი.“

ეს ფაქტები აშკარად ამტკიცებს წინანდელ ნოტებში ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსახრებათა სამართლიანობას, სადაც როგორც ბრიტანიის

უმაღლეს სარდლობისადმი თქვენი აღსატებულების საკუთრებოდ აღვნიშნავდით, რომ—ქალაქი და ბათუმის ოლქის დასაცავად საქართველოს უფლებადგომისტორიულის და პოლიტიკისე ხნეობრივის შეხედულყოველ ექვს გარეშეა, უკანახანს ფაქტიურად გადაიქცა მისეთა ჯარის აგენტების მოქმედართე ასპარეზად, რომლებიც ბათუმის ოლქის ინგლისელთა სტრაციის თანამდებობის პარახელით, თავის ამ მდგომარსარგებლობენ და დაუსჯელად ბენ თავის საქმეს და ეწვევანერებულ პროპაგანდის თავისტიკურ მიზნების მისაღწევად.

ბათუმის ოლქი ძალით ჩამოსაქართველოს ბრესტ ლიტოვსკლშეკრულებით, რომლის თანაიგი გადაეცა ოსმალეთს, საქლოს არ სურდა ეცნო ხელშეება და დამორჩილებოდა მას ბათუმის ოლქის შესანარჩუნებლმალეთს შეებრძოლა. რომლისსაც არა მცირედი მხვერბლი გავესაიაში მოკავშირეთა მიშემდეგ, საქართველოს მთაიმედი ჰქონდა, რომ აღდგენიებოდა საქართველოს და მთის შორს „სტატუს კვო ანტე ბედა რომ ბათუმის ოლქი, რომსაუკუნოებრივ საქართველოსყოველ ნაწილს შეადგენ დათდა საქართველოს. მაგრამ მოხდებოდა და ამ უხად შეიქმნმდგომარეობა, რომლის დაბათომი და ბათუმის ოლქი მისეთა ჯარის აგენტებით აივსო ასეთ მდგომარეობას არ შეგარ გამოიწვიოს უკმაყოფილებნებრივი გრძნობა ბათუმის როგორც მკვიდრ ადგილობრიველ მაჰმადიანთა, ისე მთვეროველი ხალხის მხრით.

ვაქც ვ რა, თქვენი აღმატების ყურადღებას ამ გარემოებლმოსთვქამ ღრვა რწმენას, რომხელს შეუწყობთ საქართველოსის ინტერესების და სამართლის შესაფერად ბათუმის ოლქქართოდ გადაწყვეტას. ხოლო დეკი მიღებული იქნება ისეთმეტი, რომელიც შეუქლებელმასხარაშვილთან მოხდარ ინტის მაგვარ შემთხვევას გამეშესაძლებლობას.

საქართველოს საგარეო მინისტრი ვაგაპოს

## ახალი ამბები

წვრილი ერთეულების არაბი წვრილი ერთეულების სააგენტოალურმა კომისიამ დაკურსების, საწირის, რიონის, ნარის, ზეკარის, კიკნაველეთის ჩეთის და ქვიტირის თემებშილი ერთეულის ხმოსნების არ მოხდეს 26 ოქტომბერს. პოლიპარტიებს კანდიდატთა სიებისდგენა ცენტრალურ კომისიისძლიათ 18 ოქტომბრამდის.

კვირას 12 ოქტომბერს გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვილი მთავარ ანგელოზს ეკლესიაში

### ეგნატე ივანეს ძე ნარსიას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გულდათუთქული ქვრივი ელისაბედ ნიკოლოზის ასული შვილებითურთ. პანაშვილი დაიწყება 11 ნახევარ ხაათზე.

2-1

კოოპერატივთა კავშირის რევიზია 7 ოქტომბერს მოხდა ამიერკავსიის კოოპერატივთა კავშირის თაისის განყოფილების რევიზია. რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ანგარიშის ზოგიერთი საბუთები თან არ ახსენებენ.

ს.სწავლებლების ინსტრუქტორი, ქუთაისის სამაზრო ერობის კომპანიაში ოკრიბის რაიონში ს.სწავლებლების ინსტრუქტორად დანიშნა ივრონიმე არსენი შვალი.

მაოწამეთობა. სამშაბათს 1-14 ოქტომბერს დილის მატარებლით წამეთას მონასტერში მოწამეთობის მიემგზავრება მთი მუეფემა თათელ მიტროპოლიტი ნაზარი. დღე საღამოს 6 საათზე მოწამეში შეასრულებს ღამისთევით ლოცვას, ხოლო მეორე დღეს დღესასწაულზე იქნება მწირველი საკრებულის ტაძრის და მონასტრის კრებულებით.

ეროვნულ-დემ. პარტიის პროცესი. ახალგაზდათა საყურადღებოთ. 12 სექტემბრისათვის დანიშნული ახალგაზდათა ყრილობა სხვა სხვა მიზეზების გამო არ შესდგენა ყრილობის დრო ცალკე იქნება მოცხადებული.

საგაზეთო ცალადის მიღება. ფოთში მოვიდა გემი, რომელსაც იტანა განსაკუთრებით საგაზეთო ცალადი. სულ მიღებულია 150 ვაგონი ქაღალდი, რომელიც იაკათის შექენილი.

სეზონში მონაწილენი, ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას დინარე წლის სეზონში მოწვეული შემდეგი მსახიობები: ქალები: ა. ამირჯანიძე, ს. ბეჟანიშვილი, ე. ლოლოლა, მარო მდივანი, მარგ. თანჯიშვილი, ლ. ლოლოპერიძე და შოთაძე. მამაკაცები: ალ. იმე. შვილი, იუზა ზარდალიშვილი, არაბიძე, ან, მურუსიძე, შალვა ჭარიძე, შალვა ხონელი, შ. გომე. ური და სხვები. რეჟისორად მოწვეულია ალ. იმედაშვილი, მის ამხანაგად ი. ზარდალიშვილი და ა. ლაბევიშვილი. სცენარიუსთა კ. ლაბიძე.

წარმოდგენა დღეს 11 ოქტომბერს ქალაქის თეატრში სეზონის გახსნის დღეს წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის ისტორიული დრამა "ციხის საიდუმლო". 4 მოქ. ვ. გუნის თარგმანი.

ყველი. ყველზე ნიხრის და მის გამო, სოფლებში შესწევს ქალაქში ყველის შემოტანა დაფნის ფოთოლი. რადგან

კერძო ვაჭრებსა დაფნის ფოთლის შეყიდვას თავი დაანებეს, დღეაღლი დაფნის ფოთოლი სოფლად დაგროვილი.

აგრანომის მოთხოვნა. ს. ბაშის საზ. ქუთ. სამაზრო ერობას აგრანომს სთხოვს, რომ ხელი შეუწყოს ხეხილის გაშენებაში მცხოვრებლებს.

### საზღვარ გარედ.

(საქართველოს ცნობები).  
დ'ანუნციომ გადასჭრა რადიოს მეთოდები ფრუქსა და აგრამ შუა და აცნობა საფრანგეთის მისიას, რომ ამიერიდან იგი სომხური პარტიებში იმყოფება სამხრეთ-სლოვაკეთთან.

სერბიის კაბინეტი.  
სერბიის პრინკ რეგენტს ჯერ კიდევ ვერ შეუდგენია კაბინეტი.

მდგომარეობა სმირნაში.  
პარიზს უზენაეს საბჭომ განიხილა მოხსენება, სმირნის ამბების შესახებ შემდგარ კომისიისა და დასტური მისცა ბერძენთა დელეგაციის მოთხოვნალებას.

ამერიკის დახმარება პოლონეთს.  
პოლონეთში შესდგა ამერიკული კამპანია, რომელსაც აქვს თავნი ასი მილი. დოლარად კომპანიას მიზნად აქვს მოაწიოს პოლონეთში კანალიზაცია, საავადმყოფონი და სხვა. ლოდში ჩამოვიდნ რამდენიმე ამერიკელი კაპიტალისტი. მათ განზრახული აქვთ მოლაპარაკება აწარმოონ მუნიციპალიტეტთან.

სმირნის კომისიის ასტამბოლში.  
სმირნის მოკავშირეთა კომისია ჩავიდა ასტამბოლში და მოახსენებდა ამხანაგებს. ბერძენთა და ოსმალები მოუთმენლად ელიან ამ კომისიის მუშაობის შედეგს.

### დეკემბერი.

გერმანული პრესის ცნობები

(საქ. დებეშათა სააგენტო)  
სამშაბათს ეროვნულ ყრილობაზე პოლიტიკურ საკითხების განხილვის დროს ილაპარაკა რეინსკანცლერმა ბაუერმა, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობის შეცვლა გავლენას არ მოახდენს მის პროგრამაზე. რეინსკანცლერის არჩევნები გაზაფხულზე აღრე არ მოხდება, შემდეგ ბაუერმა ზოგად დაახასიათა სოციალ-პოლიტიკური პროგრამა და შემდეგ განაცხადა, რომ ხალხს და კერძო მუშებს ემხნევათ შრომისა და თანხმობის ტენდენცია, რასაც ხელი უნდა შეეწყოს გაფიცვის უფლება ხელშეუხებელი

უნდა დარჩეს, მაგრამ მთავრობამ უნდა გამოსცეს ასეთი დადგენილება, რომელიც გაფიცვებს ავაცილებს თავიდან. მიღებულია ზომები უმუშევართათვის დახმარების ბოროტად გამოყენების თავიდან ასცილებად. უნდა გადგებულ იქნას ქვანახშირის დამუშავება და ძალიან საჭიროა ახალი პროგრამის შემუშავება. სამწუხაროდ საზღვარ გარედ ავითაც და ცილის წამება არ სწყდები. ყველკან ისინი ხედავენ ჩვენი მხრით იმპერიალიზმს და საზოგადოებრივ უფლებების დარღვევის სურვალს. განსაკუთრებით აქას აწერენ ჩვენ ეროვნულ გეარდიას. მაგრამ ჩვენ ჯარი უნდა ვიყოლიოთ 2 მიხნით: წესიერების დასაცავად და ხმის მიცემის თავისუფლების დასაცავად, რომელმაც გერმანულ ოლქების ბედს უნდა გადაწყვიტოს და ჩვენი ბრალი არ არის თუ ამისათვის სამხედრო ძალის მოხმარება საჭირო. ამის მიზეზია ის რომ მოკავშირენი ჯერ არ იღასტურებენ საზოგადოებრივ უფლებებს, იმ შემთხვევაში, რომ მკავშირე ოქტომბრამდე დადასტურებს ხელშეკრულებას, ჩვენი 350 ათასი ჯარი ოქტომბრის პირველ დღე უნდა დარჩეს, შემდეგ კი საზოგადოებრივ უფლებებს თანახმად 2 თვეში ჯარს 200 ათას კაციმდე შემცირეთ, რაც ჩვენ დიდა ხანია აუწყებთ მოკავშირეებს ამ ყამად შიგნით სახელმწიფოში 200 ათასი ჯარის კაცი გვიყენია და ამდენივე აღმოსავლეთის საზღვრებზე.

### წარმოდგენები ბერძნული შკოლა „ათინა“-ს სასარგებლოთ ქუთაისში.

ქუთაისის ორასიოდე მცხოვრებ ბერძენებს არქიელის გორის რაიონში, გაბრიელის ქუჩაზე თავიანთ ღარიბთა შეილებსათვის ოთხკანყოფილებიანი პირველ დაწყებითი შკოლა „ათინა“ აქვი გამართული და შიგ მოწაფეებს ბერძნულთან ერთად ქართულენაზეც სწავლა ცუძნას იძენენ. პრაქტიკულ მისწრაზებებსან ერთად, მათ ამ სსაჭაროება თეორეტულათაც დაუნახავთ და თავიანთ შეილებს: ქალ-ვ. ე. ამაში წროჟნიანს. მათ ქალაქებსანი თვითმართველობაც ხელს უწყობს, ეხმარება, რაც დღემდე ქართული ენის მაწავლებლის ხარჯების გაწევით გამოიხატებოდა. დღეიდან კი ისინი შეტ დახმარებს მოელიან განახლებულ თვითმართველობათაგან, რადგან ხსენებული შკოლა მეტათ ღარიბულ პირობებშია აღმოცენებული.

ამ დღეებში ამ შკოლის კომიტეტის წამომადგენელმა ბერძენებმა ივანე პიშტოფიდი და მიხეილ კანტაულო ინახულეს ქალაქის სასწავლებლის ახალი მეფალყურე ინსტრუქტორი ბ. სერგო თოფურია, რომელსაც ვაოსთხოვეს ამ შკოლის დახმარება. ისიც სიამოვნებით შეპირდა ჯერჯერობით შკოლის მოსაწყობ ნივთებს: მაგიდებს, სკამებს, შკაფებს, დავებს და სხ., რაც კი მოსახერხებელი იქნება დღევანდელ სასწავლებლის გადაჯგუფების გამოვო; ხო-

ლო ფულით დახმარებისა მე ამხელად ვერას შეგპირდებით. ეს ქალაქის გამგებმა ჩ. მუსკოლოვს დახმარება და მას მიმართული თხოვნის თხოვნათა წინამძღოლები ამისათვის მადლობელი დაურჩენ მას.

ხსენებულ შკოლის ქუთაისში მცხოვრები ორასიოდე ბერძენები თავიანთ ღარიბული სახსრით ინახავენ აგრე ქეცბრე წელიწადია. მართავენ თავიანთ სათეატროთაც მოწყობილ შკოლაში წარმოდგენებს, სალიტერატურო საღამოებს, გასართობებს და სხვაგვარ კერძო შემოწირულებით დღემდე თავით უძლებოდენ მას. ხოლო დღეს შენობით გაუმჯობესებულ შკოლაში სწავლის საქმეც უნდათ გაუმჯობესონ, გაფართოვონ, მასწავლებლები შემატონ და სასწავლო ნივთები მიუმატონ. ყოველივე ეს კ, რასაკვირველია, ხარჯებს უმატებს შკოლას და იგი ნავარაუდები აქვთ 40-60 000 მ-დი, რომლის საჭველმოქმედო მიზნით მოგროვებას ამიზენ და მათი კულტურულ-განმანათლებელი წრე „სოფოკლი“-ც ამისათვის ემზადება.

ამ მიზნით ხსენებულ წრიდან გამოყოფილი სცენის მოყვარეები იწყებენ წარმოდგენების მართვას აქ, ქუთაისში და საქართველოს რესპუბლიკის ოთხ უმთავრეს ქალაქებში: თფილისს, ბათუმს, ფოთსა და სოხუმში, სადაც ბერძენები უფრო ბლომათ ცხოვრობენ, შეძლებულნიც არიან და ეროვნულ-კულტურულ საქმიანობას უფრო ფართოთ აწარმოებენ და რომელთაგან დახმარებას გამოელიან ქუთათური ბერძენები.

აი ამ წრემ თავის სათეატრო ტურნეს დაწყება ქუთაისიდან განიზრახა. მან ქალაქის თვითმართველობას ოფიციალურის თხოვნით მიმართა დაეთმო მათთვის ქალაქის თეატრი უფასოთ, მარა, რაკი იქ რემონტი უკვე დაწყებული აღმოჩნდა და უარი მიიღო, ისევ თავიანთ შკოლაში მომზადებული პიესა იქვე გამართა წინანდებურათ.

წარმოდგენას ხელმძღვანელობდენ ახალგაზდა ბერძენების სცენის მოყვარეები, ამ საქმეში კარგათ დახელოვნებულნი „ათინაში“ ასოთ ამწყობი წერაკიტხის საზ. სტამბისა ესტატე, აპოსტოლე და ივანე სპირანდები, თეოფილე ფრთადა, სტუდენტა (ჩვეისორი) სველოს აღანტეხოსი, გიორგი მეჩატადი (სცენარიუსი) მილტატად კალაიტიდი (წრის თავმჯდომარე). წარმოდგინეს საბერძენეთის ცნობილ დრამატურგის პერესიადის იდეალური დრამა „გოლფო“, რომელშიდაც აწერილია სოფლის მწყემსის თანასულას შვილი ტასოს პირველი სიყვარული მდიდარი სოფელის ქალიშვილის გოლფოსა, რომელიც ორი წლის აღერისს შემდეგ შეიძულა და შეიყვარა სტავრულა, მარა ეს ღალატი მას, პირველმა შეყვარებულმა აგრძობინა, მკაცრათ გაკაცხა ახალგაზრდა ლოველასი და მის წინ მოიწამლა თავი, რამაც ტასოსაც დანა დააცემინა გულში და თავი მოიკლა.

სცენა წარმოებს დასაწყის დაბოლოვებინა ტყეში, სადაც ილილიუ რათ შეყვარებულებს უხდებათ თავიანთ სიყვარულის წამების გამომედანება და იმედების გაცრუებით თავის მოსპობა.

შკოლის სცენა მხატვრულ უღეკორაციობის გამო ხელმძღვანელებს მშვენივრათ მოეწყოთ ცოცხალი ხასტოტებით, ვარდებით და ბალახებით,

რომლებიც სამეურნეო შკოლას სიაში ვნებებით დაეთმო ათინელებისთვის. სტენის მოყვარეებს ესტატეს და აპოსტროფე სპირანდებს ქალღვარი ამ ხანაებშიც ანსაზბლოს შესაფერისათ მოეშადებინათ ყოველივე ამას ხელი შეუწყო ძველი ბერძნული ძეგრფასი ტანისამოსის ჩამოტანა თფილისიდან ბერძენთა ერთგულ საბჭოსაგან. ამგვარათ ბერძენთა სტენის მოყვარეები შინაგნურათაც და გარეგნულათაც დიდი თეატრის, ფართო სტენისათვის მოხდენილათ გამხადილიყვენ, მარა ასეთის უქონლობის გამო შკოლის პატარა სტენაზე მოუხდათ თავიანთ როლებების ღამაზათ შესრულება. დიდ სტენაზე კი გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას დასტოვებდნენ მსენებლებზე.

შკოლა „ათინა“-ში მოწყობილ წარმოდგენითაც ბერძენების 100-200-მდე მაყურებლები ძლიერ კმაყოფილნი დარჩნენ 28 ენკენისთვის დადგმული დრამა „გოლფო“-თი. მესამე დღეს 30-ს ხელმეორეთ გაამეორებინეს წარმოდგენის ხელმძღვანელებს, რათა პირველ დღეს უადგელობის გამო დარჩენილ ბერძენებს მეორე დღეს მოესმინათ წარმოდგენა და მართლაც ორივეჯერ შკოლის ოთხი დიდი ოთახი სავსე იყო მაყურებლებით, რომელთა შორის იყვნენ აგრეთვე ქართველებიც. თფილისიდან ღამსწრე ბერძენებმა კი თქვეს, რომ ეს პრესა იქაც წარმოდგენით, მარა აქ უკეთ ითამაშესო. ეს პრესა ამათ ხელში იქაურ სტენაზე, (განზრახული აქვთ „სახალხო სახლში“ მისი დადგმა) გაცილებით უკეთ ჩაივლისო, როცა აქაური სტენის მოყვარეები იქ გვეშვევიან სავსტროლოთო. და მართლაც ესენი ამ დღეებში ბათუმიდან გამობრუნებულნი თფილისს მიდიან და ვინძლო პროვინციელ სტენის მოყვარეებმა იქ უფრო იახ ხელონ თაფა და ამ რიგათ თავიანთ შკოლა „ათინა“-ს მეტი სახსარი შეუგროვონ დღევანდელ გასაქარის უამს...

აქ კი ქუთაისის თვითმართველობებს ქალაქისას და ერობასაც მტრ ყურადღება მართებსთ ძველიდანვე ჩვენში შემოხიზნულ ბერძენების ეროვნულ შკოლისადმი, სადაც ქართულის სწავლაც საპატიოთ შეიძლება დაეყენოთ თუ კი მას ვარგათ გამოცდილი ინტელიგენტ მასწავლებელს მიუჩინოთ. აქვე შეიძლება იწარმოვოს ნაწილობრივ ქართული წარმოდგენების საქმეცაც, რისთვისაც მას შენობის მოხდენილობაც ხელს უწყობს.

ისო.

**კორესპონდენცია:**

**სოფ. რიონიდან.** სექტემბრის შუა რიცხვებში სოფ. რიონში ტყიბულის რაიონის კომისრის განკარგულებით მოწვეული იყო რიონის საზოგადოების ყრილობა. ამ ყრილობის მიზანი იყო არჩევა ხსენებული საზოგადოების საერობო წვრილი ერთგულის ხმოსნებისა. დიდძალი საზოგადოებამ მოიყარა თავი და ლოდინი დაუწყეს სამაზრო

ერობის წარმომადგენლის მოხელას. დილით ადრე თავმოყრილ საზოგადოებას საღამომდის მოუხდათ მოცდა. როგორც იყო საღამოს მოვიდა ერობის მიერ დანიშნული ინსტრუქტორი ვინმე მენუხლო. გაიხსნა კრება ხსენებულმა ინსტრუქტორმა საზოგადოებას მოკლე ვაგუშარტა წვრილი ერთგულის მნიშვნელობა. აღნიშნა ის გარემოება, რომ რიონის საზოგადოებაში, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არა აქვს, ორგანიზაცია, ამ რიგად პარტიებს უჭირსთ საკუთარი სიების შედგენა, რომ შესაძლებელი იყოს მოხდეს ოთხოფორმულოვანი არჩევნები ამისთვის, — სთქვა ინსტრუქტორმა — სამაზრო ერობამ გადასწვიტა, რომ არჩევნები მოხდეს ძველი წესით, ე. ი. საზოგადოებამ დაასხელოს თავიანთ შორის ზმდენი კანდიდატი რამდენიც საჭიროა საერობო წვრილი ერთგულისათვისო.

საზოგადოების ყრილობა ჯერ უარზე წავიდა. სთქვეს აგრეთვე რომ აქ არ არიან სხვა და სხვა პარტიები, მაგრამ არსებობს ერთი პოლიტიკური პარტია, — ეროვნულ დემოკრატიული, რომელსაც ჩვენ ხმას მივცემთო, მაგრამ საქმეში ჩაერთა ტყიბულის რაიონის კომისარიც და საზოგადოებას ურჩია შეესრულებიათ სამაზრო ერობის წინადადება და საერთო კანდიდატები აერჩიათ.

დიდი ყოყმანის შემდეგ საზოგადოება დათანხმდა. დაიყენენ სოფლებათ და ხმოსნების კანდიდატურა წამოაყენეს

არჩევნების შემდეგ შესდგა ოქმი. ოქმის შედგენის შემდეგ კი საზოგადოებას გამოუტანდეს, რომ შედგენილ ოქმზე ხელი მოეწერად. გაიმართა ხელის მოწერა, რამაც დადასტოვბაშდის გატანა. ერთი სიტყვით გათენებდნენ დაღამებამდის მშვიერ საზოგადოებას ცდა და ქირდა და ეგონათ, რომ საქმეც გააკეთეს.

მაგრამ ცხლა ცნობა მოვიდა, ვითომც სამაზრო ერობის ცენტრალური კომისიას ხსენებულა მენუხლოს რჩევით არ დაუმტკიცებია სექტემბრის არჩევნები, რადგანაც არჩეულ ხმოსნებში სოც. დემოკრატთა რიცხვი უმნიშვნელოა.

ასეა თუ ისე ვიცით რით ხელმძღვანელობდა ერობის ინსტრუქტორი როდესაც აქ არჩევნები მიახდინა. თუ მას არ ჰქონდა სამაზრო ერობის ბრძანება, როგორ გაბედა ან ხალხის გაცდენა ან და არჩევნების მოხდება და თუ ეს ერობის ბრძანებით იყო, — არჩევნები კანონიერად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც არჩევნების ოქმს ხელს აწერს 400 მდე ამომრჩეველი, თვითონ ბ. ინსტრუქტორი და წარმომადგენელი ეროვნულ დემოკრატიული პარტიისა.

მაგრამ ძალღის თავი სხვაგან მარხია. იმ სიაში, რომელიც ფართე საზოგადოებამ წარმოადგინა ნაკლებათ მოაპოვებინ იმ პარტიის ხალხი, რომელმაც ხსენებული არჩევნები ჩაშალა.

მაგრამ ათასი თავისი სია წარმოადადგინონ ვერაუერს გახდებიან და

ვერ აღმოაჩენენ იმ კანდიდატებს კანდიდატებს ისინი რომ ეძებენ. ასეა თუ ისე ეს მაგალითი ერთხელ კიდევ ამტკიცებს რომ ფართე საზოგადოება-დემოკრატია ადგებული ყავთ და არავითარ ანგარიშს არ უწყვენ.

მაგრამ დავანებოთ ყველაფერს თავი და ვუცადოთ მომავალ არჩევნებს. ერთხელ კიდევ ვნახოთ რით დაბოლოვდება საქმე.

ი. რიონელი.

**წერილები რედაქციის მიმართ.**

**ბ. რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუფმოთ თქვენს პარტიკულ გზეთში შემდეგს:

მე ვმსახურობ დარაჯის ადგილზე ფარცხანაყანევის საექიმო პუნქტზე, დიდიან მისი გახსნისა. სამსახურს შეძლების და ვვარად კარგად ვასრულებდი, რასაც დაადასტურებენ ადგილობრივი ექიმი და პროვიზორი. რადგანაც მე რწმენით ეროვნულ-დემოკრატ ვარ და არა სოც.-დემოკრატ ჩემი იქ ყოფნა არ მოეწონა ფარცხანაყანევის წვრილი ერთგულის გამგეობას და წინადადება მომცა რომ უარიმეყო ჩემს რწმენაზე და სოც.-დემოკრატ გაგმხდარიყავი, როდესაც ჩემგან ამის შესახებ ცივი უარი მიიღეს, მისწერეს სამაზრო ერობის გამგეობას, რომ მე ვითომც შეძლებული კაცი ვარ და მოითხოვდნენ ჩემი ადგილიდან გადაყენებას, რაზედაც დასტური უკვე მიიღეს.

საოკარი რამ არის! მე, რომ მდიდარი და შეძლებული ვყოფილიყავი განა დარაჯის ადგილზე დავდგებოდი? მაგრამ სხვა ხრიკები ვერ გამოიხატეს. აი ასე ეპყრობიან სოც.-დემოკრატები არა სოც.-დემოკრატს და ადგილებიდან ასე უსამართლოდ ერეკებიან უდანაშაულო ხალხს.

მე არას ვიტყვი, მაგრამ თვით საზოგადოებამ კასაჯოს მათი სინდისი და მოქმედება.

პატ. ვალერიან კიკვაძე.

გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, ეს წერილი მოათავსოთ თქვენის პარტიკულ ვაზეთში:

ამ წლის 22 სექტემბერს დაბა ცაგერში ლეჩხუმის მაზრის ერობის განკარგულებით დაატუსაღეს ერთი დღე და ღამე ჩემი შვილი ალექსანდრე დევდარიანი. მამობრივმა მოვალეობამ მიძულა შევსულაყავ ერობაში შემოხსენებული პირის დატუსაღების მიზნის გასაგებათ, ნაშვად

**ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროვინციულ ახალი გაზდათა საყურადღებოთ.**

12 სექტემბრისათვის დანიშნული ახალი გაზდათა ყრილობა სხვა და სხვა მიზეზების გამო არ შესდგება. ყრილობის დრო ცალკე იქნება გამოხადებული.

**ვაკლავ ვაკვათილავს ფრანგულ და გერმანულ ენებში**

(თეორია და პრაქტიკა) გამხადებ ყველა სასწავლებლის მოწაფეებს რეალურ ენაში. პუშკინის ქუჩა № 28. ბინა კბ. ექიმი რიჩინაშვილი იკითხეთ მასწავლებელი.

ღვეის პირველ საათზე, მაგრამ სამართლიანი მოსამართლეს მაგიერ იქ დამხვდა თავმჯდომარის ამხანაგი, ბ. ნონელიძე, რომელიც ჩემს შეკითხვაზე, თუ რა მიზეზით ვარ დაპირეს ჩემი შვილი, — გასწვრილი კოლოთი მიპასუხა: „მე არასფერი არ ვიცი და არც დამიჭირავსო, ხვალ გაიკებთ ამბავსო“.

ასეთი ცივი უარია ბ. ნონელიძემ მაშინ განაქადა ხსენებული პირის დატუსაღებაზე, როდესაც პკითონ ბ. ნონელიძის ხელმოწერილი განკარგულება დღესაც კომისარიატში ინახება, რომლის მიხედვით მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწემ ასეთი ოფიციალური ქალაღი გაუგზავნა ცაგერის სატუსაღოს უფროსს: „თანახმად ერობის თავმჯდომარის განკარგულებისა დატუსაღებულია 24 სექტემბრიდან ალექსანდრე ნიკოს ძე დევდარიანი შემდეგი განკარგულებამდისო.“ ხსენებული ალექსანდრე დევდარიანი იქნა გამოშვებული სატუსაღოდან 30 სექტემბერს და როგორც მისთვის განუცხადებია მილიციის უფროსს, დატუსაღების მიზეზი უნდა ყოფილიყოს ბულვარში რამოდენიმე პირთან ვ.ზ. „ჩვენს ქვეყნის“ წიკითხვა, რომელშიაც მოთავსებული იყო ბ. ხაშერის დეკრეტი, ახალი ბაყების გაწერის შესახებ.

ვინაღდან ლეჩხუმის მაზრის ერობის ასეთი უკანანო მოქმედება და თვითნებობა ყოვლად შეუწყნარებელია მიმანჩია, ჩემი შვილის უდანაშაულოთ დასჯისა და შეურაცხყოფისათვის მოვითხოვ ხსენებული ხონელიძე გამოშყვეს სამედიატორო სამართალში.

პასუხს ველი ამ წერილის დაბეჭდვლიდან ორი კვირის განმავლობაში ჩემის მხრით მედიატორებად ვასახელებ: გიორგი ილარიონის ძე ახალღველიანს, ილარიონ ხანულიანს, გიორგი დავითის ძე ჯუღელს და მანასე ჭეიშვილს.

ნიკო დევდარიანი.

**რედაქტორი სარედაქციო კოლეგია**

**დაიკარგა** ვალერიან სიკორის ძე ცირეკი 5 ენკენისთვის. საშუალო ზომის თავმოუპარსავი ღამაზი ამასთანავე პსიხურად ავადმყოფა. ხნით წლის. ვინც რაიმე იცის მის შესახებ ვსთხოვ მაცნობოს შემდეგი სამართით: ქუთაისის სადგური, ირალი ალექსის ძე ცირეკიძეს. 3-ლს